ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №1/07.22/2

ქ. თბილისი

ხელშეკრულების მხარეები:

ერთი მხრივ, **სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი,** წარმოდგენილი მისი დირექტორის თამარ ალადაშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“), იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გელოვანის გამზირი №6, ს/კ: 206351730, სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა: 200122900

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

მეორე მხრივ, **შპს ბ გ დ,** წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანა დათუაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), იურიდიული მისამართი: თბილისი, ქიქოძის 3; ს/კ: 406280661; სს საქართველოს ბანკი, კოდი: BAGAGE22, ა/ა: GE69BG0000000548840700, ტელ: +995 593 98 44 20; ელ. ფოსტა: magaziamarsi@gmail.com

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1 ხელშეკრულების საგანია: სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, **სხვადასხვა სახის პირადი ჰიგიენის საშუალებების (CPV18141000 - სამუშაო ხელთათმანები; CPV19640000 - პოლიეთილენის პაკეტები და ტომრები ნარჩენებისა და ნაგვისთვის; CPV24959100 - აეროზოლები; CPV33711900 - საპონი; CPV33761000 - ტუალეტის ქაღალდი; CPV39224320 - ღრუბლები; CPV39525800 - საწმენდი ტილოები; CPV39830000 - საწმენდი საშუალებები)** (შემდგომში „საქონელი“) სახელმწიფო შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებლის მიმდინარე წლის 13 ივლისის №334 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ასევე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

1.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **2’011.70 (ორი ათას თერთმეტი ლარი და 70 თეთრი)** ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანმდევი ხარჯების და გადასახადების (დ.ღ.გ. და სხვა) ჩათვლით.

2. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

2.1 შესყიდვის ობიექტია:

#	CPV	შესყიდვის ობიექტის დასახელება	რაოდენობა	ზომის ერთეული	ერთეულის ღირებულება (ლარი)	ჯამური ღირებულება (ლარი)
1	18141000	სამზარეულოს ხელთათმანი M ზომა	წყვილი	5	4.80	24
2	19640000	ნაგვის პარკი თასმით 60 ლ-იანი	შეკვრა	15	5.50	82.50
3	33711900	თხევადი საპონი 5 ლ-იანი	ცალი	3	13.50	40.50
4	33761000	Z ტიპის ხელსაწმენდი 2 ფენიანი	ცალი	500	2.50	1250
5	33761000	ტუალეტის ქაღალდი 2 ფენიანი	ცალი	200	2.50	500
6	39224320	ჭურჭლის სარეცხი ღრუბელი (7 ცალი)	ცალი	3	4.20	12.60
7	39525800	იატაკის ტილო მიკროფიბრა 60სმ/80სმ	ცალი	5	7	35
8	39525800	მტვრის ტილო მიკროფიბრა	ცალი	5	3.50	17.50
9	39830000	ჭურჭლის სარეცხი ჟელე 450 მლ	ცალი	4	3.40	13.60
10	39830000	კერამიკული ფილებისა და ნიჟარების საწმენდი სპრეი	ცალი	3	12	36
					ჯამი:	**2’011.70**

3. საქონლის მიწოდების პირობები

3.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

3.2. საქონლის მიწოდების ადგილია: თბილისი, ქიქოძის ქ.№3.

3.3. მიწოდებული საქონელი უნდა იყოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს;

4.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

4.2.1. საქონლის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

4.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე მიწოდებული საქონლის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა ინსპექტირების აქტის გაფორმება;

4.2.3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება;

4.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) ახორციელებს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი - მირიან ცარციძე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

5.2. იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მიწოდებული საქონლის მიღებას, ხოლო თუ, საქონლის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონელი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს წუნდებული საქონელი და დაუბრუნოს იგი მიმწოდებელს მიმწოდებლის ხარჯით.

5.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარმოუდგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია - სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშფაქტურა. ხოლო, იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მან უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან.

5.4 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვლისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი - მირიან ცარციძე.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.

6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების 5.3. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის საფუძველზე, წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშო დღის ვადაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1 მიაწოდოს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

7.1.2 „შემსყიდველს“ მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.3 უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა 1 (ერთი) დღის ვადაში;

7.1.4 კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.5 დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება.

7.2.2 დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლებები

8.1 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად მოითხოვოს შემსყიდველისგან მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.

8.2 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1 აწარმოოს მიწოდებული პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;
8.2.2 განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9.4 ფორს-მაჟორული პირობების გათვალისწინება რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელის შემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

13.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

13.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.
13.4 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ს, „შემსყიდველი“ იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
13.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.6 ამ მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო და პირგასამტეხლოს თანხები დაუკავდება მიმწოდებელს მომსახურების ღირებულებიდან, იმ შემთხვევაში თუ მომსახურების მიწოდება არ არის განხორციელებული მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში გადაიხადოს შესაბამისი თანხა შესმსყიდველის სასარგებლოდ, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მომსახურების ღირებულება ნაკლებია საჯარიმო თანხაზე მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში გადაიხადოს შესმსყიდველის სასარგებლოდ საჯარიმო თანხებსა და მომსახურების ღირებულებას შორის არსებული სხვაობა შესმსყიდველის სასარგებლოდ.
13.7 .შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში გადაუხადო პირგასამტეხლო მიმწოდებელს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1 მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2 ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3 შემსყიდველის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

14.1.4 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2022 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1 არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე მხარეს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

16.2 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

16.3 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“; ხოლო ერთი ეგზემპლარი „შემსყიდველთან“.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	**შპს ბ გ დ**
LEPL Environmental Information and Education Centre Digitally signed by LEPL Environmental Information and Education Centre Date: 2022.07.14 09:03:04 +04'00'	_____
თამარ ალადაშვილი დირექტორი	ნანა დათუაშვილი დირექტორი